

კახა კადაძე: "ავტობუსის მოდები განკუთვნილია მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის"



დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ისაუბრა. კახა კადაძის თქმით, პროექტების პროცესში გათვადისწინებულია უცხოელი ექსპერტების

რჩევები, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა იყოს კომფორტული, სწრაფი და თავისუფალი.

„შემთხვევით არ არის, რომ ავტობუსებისთვის სპეციალური მოდები გვაქვს განკუთვნილი ე.წ bus line-ები, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს ყველაზე სწრაფი და კომფორტული ქალაქში. ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ჭრილში, ვეცდებით, საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა ისარგებლოს კიდევ უფრო მეტი უპირატესობით და შევზღუდოთ კერძო სატრანსპორტო საშუალებების მომსახურება. ხშირია შემთხვევა, როცა ავტობუსის სპეციალურ მოდებზე კერძო ავტომობილები გადაადგილდებიან, რაც დარღვევაა.“

მინდა, ირაკლი ხმადაძეს ვთხოვო, საპატრულო პოლიციასთან გვექონდეს მჭიდრო კომუნიკაცია და ურთიერთობა, მათი მხრიდან არის სრული მზაობა. შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასთან მექონდა საუბარი, არის მაქსიმალური მხარდაჭერა და თანადგომა. თუ საჭიროა, აუცილებლად დავაყენოთ კამერები, რომ ვინც დაარღვევს,

დაჯარიმდეს. ყვერამ უნდა გაითავისოს, რომ ეს ზოგები არის შექმნილი მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის, რომ ადამიანებმა შეძლონ გადაადგილება სწრაფად და კომფორტურად. ამიტომ ჩემი თხოვნაა, ეს ყვერაფერი მარე მოწესრიგდეს“, – განაცხადა თბილისის მერმა.

ვახა ვარაძის თქმით, იგივე დამოკიდებულებაა ვერობიდიკებთან დაკავშირებით და შესაბამის სამსახურებს სთხოვა ამ საკითხსაც მიაქციონ ყურადღება. მან ასევე დიცენზირებული ტაქსებისთვის გამოყოფილ უფასო პარკირების ადგილებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ამ ადგილებზე სხვა ავტომობილებია გაჩერებული და ეს პრობლემაც მოსაგვარებელია.